



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 2 21 0000532031



07/06/2021

**სამოქალაქო განათლების ზოგადი მოდულის დამტკიცების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 02 ივნისის №511047 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 აგვისტოს №680/ი ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ზოგადი მოდული - „სამოქალაქო განათლება“ (სარეგისტრაციო ნომერი 0110005) - ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული ზოგადი მოდულის - „სამოქალაქო განათლება“ - ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღე.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურთან კოორდინაციით ამ ბრძანებისა და მისი დანართის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.
4. დაევალოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ თარიღის შესაბამის ველში ამ ბრძანების გამოცემის/ძალაში შესვლის თარიღის, ასევე ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული ზოგადი მოდულის ძალაში შესვლის თარიღის მითითება და ამ სახით ბრძანების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.
5. 2022 წლის 1 ივნისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის

13 ოქტომბრის №656 ბრძანების დანართი №107-ის შესაბამისად დამტკიცებული ზოგადი მოდული - „სამოქალაქო განათლება“ (სარეგისტრაციო ნომერი - 0110004).

6. დაევალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებს 2022 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყონ მათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ამ ბრძანებით დამტკიცებულ დანართთან შესაბამისობაში მოყვანა.

7. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრი

დირექტორი

მახარაშვილი თამარ

